სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება # 17-010221-03

ქ. თბილისი **01.02.2021 წ.**

ერთის მხრივ, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, და

მეორეს მხრივ, შპს „ჯი-თი მოტორს“ (შემდეგ - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის ბალანსზე არსებული Suzuki SX4 სახელმწიფო ნომერი MM902GG მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 50112200; შემდგომში - „მომსახურება“) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. მომსახურება განხორციელდება დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასების შესაბამისად. აღნიშნული დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული შესაბამისი დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა და შესრულების ვადები.

2.2. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის სერვისცენტრი მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი #163; ქ.ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის №21; მიმწოდებელი უფლებამოსილია, დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე მოითხოვოს ავტომობილის კონკრეტულად თბილისის სერვის-ცენტრში მიყვანა;

2.3. გაწეულ მომსახურებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ მომსახურების დეტალური აღწერა, გასაწევი მომსახურების, გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების რაოდენობა და/ან მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (ან ერთვოდეს დეფექტური აქტი). მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე, მიმწოდებლის მიერ სათანადო წესით ატვირთული/წარდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 5 სამუშაო დღეზე მეტი დაგვიანებით ან/და უხარისხო მომსახურების მიღებაზე, ან/და შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული იმ მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

3.1.2. შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად;

3.1.3. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებასა, ხელშეკრულების დანართ #1-სა და დეფექტურ აქტში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს დეფექტური აქტის გაფორმებიდან ერთიდან არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის ვადაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში შესაბამისი სათადარიგო ნაწილის არ ქონის, ან ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა იქნას მხარეთა მიერ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 60 კალენდარული დღისა).

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

3.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარდგენილი/შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სათანადო წესით ატვირთული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთიათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც დანართი №1-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. დანართ №1-ში მითითებული ფასები შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, დღგ-ს ჩათვლით.

4.3. თუ გასაწევი მომსახურების ან რომელიმე სათადარიგო ნაწილის ფასი (მისი შესყიდვის აუცილებლობისას) არ არის გათვალისწინებული დანართ №1-ში (პრეისკურანტი), მაშინ მხარეები, მომსახურების დაწყებამდე, ურთიერთშეათანხმებენ აღნიშნული მომსახურების ფასს მიმწოდებლის სერვისში იმ დროისათვის არსებული ფასების გათვალისწინებით, რაც აისახება დეფექტურ აქტში, ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტომანქანის მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

4.4. მომსახურების დასრულებისთანავე მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირები.

4.5. ანგარიშსწორების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტებია:

ა)მიმწოდებლის მიერ სათანადო წესით ატვირთული/წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხრივად ხელმოწერილი).

4.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.7. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის და მისი მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქნება.

5. ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5.1.1. ამ ხელშეკრულების დანართის ჩამონათვალიდან, მიწოდებიდან 1 წლის ვადით ან 20 000 კმ გარბენზე, რომელი ვადაც ადრე დადგება, ვრცელდება გარანტია ამორტიზატორზე, მორგვზე, სტერჟინზე, მორგვის საკისარზე, იმ პირობით, რომ საგარანტიო ვადაში ავტომობილზე ყველა სახის დეტალი/მომსახურება სემენილი იქნება მიმწოდებელთან. გარანტია არ გავრცელდება, თუ დარღვეულია ავტომობილის ექსპლოატაციის წესები და/ან თუ დაზიანებულ დეტალს აღენიშნება გარეგანი, მექანიკური ზემოქმედების კვალი.

5.2. დანართით გათვალისწინებული სხვა დეტალები სწრაფად ცვეთადი დეტალების კატეგორიას განეკუთვნება და მათზე გარანტია არ ვრცელდება. მიმწოდებლის მიერ მიწოდებულო სათადარიგო დეტალები იქნება ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი, ორიგიმნალი ან მწარმოებელი კომპანიის მიერ რეკომენდირებული მწარმოებლის მიერ წარმოებული.

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში გამოვლინდება გაწეული ნაკლიანი მომსახურება რომელიც გამორიცხავს ავტომანქანების უსაფრთხო ექსპლუატაციას, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ნაკლი/დეფექტი (ამ ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით).

5.4. მე-5 მუხლში აღნიშნული პირობები არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტომანქანების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.

5.5 მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს (გარდა ფორს-მაჟორული მიზეზებით გამოწვეული ზიანებისა).

5.6 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს ტექნიკურად გამართული ავტომანქანა (იგულისხმება იმ ტექნიკური უწესრიგობის აღმოფხვრა, რასაც ითვალისწინებდა მომართვიანობა).

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს

მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა.
6.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული და ფორს-მაჟორული გარემოებების საფუძველზე.
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
6.6. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.
6.7. მიმწოდებლის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.
6.8. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.
7.2. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.
7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
8.1. შემსყიდველს ან მის მიერ წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი.
8.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
8.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;
8.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა გაწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად გაწეული მომსახურების მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.
8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;
8.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი მხოლოდ მიმწოდებლის სერვისში შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
9.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
9.2. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველისთვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

10.3. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე თუ:

ა) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მიმწოდებლისათვის არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე

11. სხვა პირობები

11.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე;

11.4. ხელშეკრულებაში დამატებების/დანართების/ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები:

„შემსყიდველი“ **შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“** მის: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2ბ ს/კ: 426529759 სს „ტერა ბანკი“ ბ/კ: TEBAGE22 ა/ა GE43 KS 0000000340300002 **გენერალური დირექტორი** **მ. კიპაროიძე**	**„მიმწოდებელი“** **შპს „ჯი-თი მოტორს“** მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №155 ტელ: 259-50-00, 595 900935 ს/კ: 206276340 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE89BG0000000247624300 **გენერალური დირექტორი** **თ. უსტიაშვილი**

Gardabani TPP 2 LLC Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC Date: 2021.02.01 12:53:31 +04'00'

JI-TI MOTORS LLC Digitally signed by JI-TI MOTORS LLC Date: 2021.02.01 13:59:58 +04'00'

	SX4 S- Cross 1,6	სათადარიგო ნაწილები ლარი	შესასრულებელი სამუშაო ლარი
1	თვლის კუთხის გასწორება		40.00
2	სამუხრუჭე დისკი წინა (2 ცალი)	580	60.00
3	საბურავის დაშლა/აწყობა, ბალანსირება		15.00
4	საბურავის დაკერება (დაზიანების მიხედვით)		22.5
5	სამუხრუჭე დისკის მოხეხვა 1 ცალი		46.88
6	საბურავის დაშლა/აწყობა, ბალანსირება		15.00
7	გაბარიტის ორკონტაქტიანი ნათურა	18.00	7.50
8	სანისლე ფარის ნათურა	45.00	25.00
9	ახლოს/შორს მაშუქი ნათურა	30.00	7.50
10	უკანა სვლის ნათურა	18.00	7.50
11	უკანა სტოპის ნათურა	4.00	7.50
12	ციმციმას ნათურა	4.00	7.50
13	სტაბილიზატორის რეზინი (2 ცალი)	60.00	30.00
14	გადაბმულობის დისკი	470.00	
15	გადაბმულობის ქურო	338.00	450.00
16	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	480.00	
17	სამუხრუჭე სითხე (0,5 ლ)	18.00	37.50
18	ფრეონი (100 გრ)	78.00	75.00
19	ელ-დიაგნოსტიკა		75.00
20	საქარე მინის ყინვაგამძლე სითხე	25.00	0.00
21	ანტიფრიზი	25.00	37.50
22	გენერატორის ღვედი	30.00	45.00
23	აკუმულატორი	200.00	15.00
24	დისკის ჭანჭიკი	12.00	7.50
26	ძრავის ზეთი Castrol 5w30	25.00	20.00
27	ზეთის ფილტრი	35.00	
28	ჰაერის ფილტრი	60.00	10.00
29	წინა ხუნდები	485.00	28.00
30	უკანა ხუნდები	338.00	32.00
31	სალონის ფილტრი	56.00	15.00
32	აალების სანთელი	45.00	37.5
33	უკანა ბალკის რეზინი	172.00	112.5
34	უკანა ამორტიზატორი	484.00	30
35	სტერჟინი	172.00	30
36	წინა მორგვის საკისარი	343.00	90
37	უკანა მორგვი	1205.00	60
38	ყუმბარის მტვერდამცავი უკანა	70.00	37.5
39	წინა მინის მწმენდი (მარცხენა)	45.00	7.50
40	წინა მინის მწმენდი (მარჯვენა)	20.00	7.50
41	უკანა მინის მწმენდი	36.00	7.50
42	სავალი ნაწილის შემოწმება		37.50
შენიშვნა 1:	ხუნდების, საყრდენი დისკების, ჰაერის ფილტრის და სალონის ფილტრის შეცვლის სიხშირე დამოკიდებულია მძღოლსა და გარემო პირობებზე		
შენიშვნა 2:	ძრავის ზეთი იცვლება ყოველ 10000 კმ-ზე ან 12 თვეში ერთხელ. (რომელიც უფრო ადრე დადგება)		

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **01.02.2021 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს „ჯი-თი მოტორს“-თან (ს/კ: 206276340) შესყიდვის განხორციელებისას ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორი Gardabani TPP 2 LLC Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC Date: 2021.02.01 12:53:51 +04'00' **მ. კიპაროიძე**

შესყიდვების სამსახურის უფროსი **თ. მიმინოშვილი**